ტრენინგების მსმენელთა ანონიმური ანკეტირებული გამოკითხვის შედეგები 2015 წლის მდგომარეობით

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, დღეის მდგომარეობით, გადამზადებულია 522 სახელმწიფო მოსამსახურე და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი.

მსმენელთა გამოკითხვის ფორმების (წარმოდგენილი იქნა კითხვარის მხოლოდ 489 ერთეული) ანალიზის მიხედვით:

1. **460 მსმენელი** თვლის, რომ ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის ძალიან კარგი **(94.1%);**

29 მსმენელი თვლის, რომ ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის დამაკმაყოფილებელი **(5.9%).**

2. **311 მსმენელს,** მიაჩნია, რომ ტრენინგ-მოდული არის ძალიან წარმატებული **(63.6%);**

178 მსმენელს მიაჩნია, რომ ტრენინგ-მოდული არის წარმატებული **(36.4%).**

3. **394 მსმენელს** მიაჩნია, რომ სწავლების პერიოდი არის ნორმალური **(80.6%);**

84 მსმენელს მიაჩნია, რომ სწავლების პერიოდი არის ხანმოკლე **(17.1%);**

11 მსმენელს მიაჩნია, რომ სწავლების პერიოდი არის ხანგრძლივი **(2.2%);**

4. **მხოლოდ ერთმა მსმენელმა** დააფიქსირა, რომ ამ სახის ტრენინგი მათთვის საჭირო არ არის **(0.02%).**

5. **410 მსმენელს** მიაჩნია, რომ ამ სახის ტრენინგი მათთვის არის ძალიან კარგი **(83.8%);**

78 მსმენელს მიაჩნია, რომ ამ სახის ტრენინგი მათთვის არის საჭირო **(15.9%).**

6. შეკითხვაზე, ტრენინგის პროგრამაში რა დამატებით საკითხებს შეიტანდნენ:

336 მსმენელმა უპასუხა - არაფერს დავამატებდი **(68.8%).**

129 მსმენელმა უპასუხა, რომ განავრცობდა პროგრამას. კერძოდ, ისურვეს ტრენერთა პროგრამაში წარმოდგენილი ყოფილიყო მეტი პრაქტიკული მაგალითები და დავალებები **(26.3%).**

24 მსმენელმა შეკითხვას არ უპასუხა **(4.9%);**

7. **384 მსმენელის** აზრით, დამხმარე მასალები კვალიფიციურად არის შედგენილი და სრულია **(78.5%);**

96 მსმენელის აზრით, დამხმარე მასალები კვალიფიციურად არის შედგენილი, მაგრამ არ არის საკმარისი **(19.6%);**

6 მსმენელი თვლის, რომ დამხმარე მასალები არ არის დამაკმაყოფილებელი **(1.2%).**